# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2011 წლის ანგარიში და 2012 წლის სამოქმედო გეგმა




## სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის შედეგები

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების რეალიზაციის შედეგად შემოსულია **6 667000** ლარი

ამონაგები თანხა




სხვა შემოსავლებმა გაწეული მომსახურებიდან შეადგინა 521 800 ლარი

## ბიუჯეტში შეტანილი თანხა

სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვიდან 2011 წელს გადაირიცხა **3 099000** ლარი

ბიუჯეტში შეტანილი თანხა



## ახალი სავაჭრო ობიექტები



2011 წელს მომსახურების სააგენტომ გახსნა 3 ახალი სავაჭრო ობიექტი: მაღაზია ქ.სამტრედიაში, ქ.ახალციხეში და ქ.თბილისში საბითუმო/ საცალო მაღაზია, რომელიც მიბმულია სააგენტოს სასაწყობე მეურნეობაზე. ნავაჭრმა მხოლოდ ამ სამ მაღაზიაში შეადგინა 203 400 ლარი.

- 2011 წელს ჩატარდა მომსახურების სააგენტოს 2 000–მდე აუქციონი
- ინტერნეტ აუქციონის პორტალზე 2011 წელს სულ გამოცხადებული აუქციონების რაოდენობამ გადააჭარბა 8 035
- ინტერნეტ აუქცინის პორტალზე 2011 წელს გაიყიდა 13 491 ლოტი
- ინტერნეტ აუქციონის პორტალის ბრუნვა 2011 წელს ავიდა 190 000 000 –მდე

## განკარგვის ახალი ფორმა - ლიზინგი

2011 წლის ნოემბრიდან არსებულ რეალიზაციის ფორმებს დაემატა ქონების განკარგვის ახალი ფორმა – ლიზინგი




+




ლიზინგი

## მკაცრი აღრიცხვის ფორმები

მომსახურების სააგენტომ 2011 წელს რეგისტრაციაში გაატარა 279 მკაცრი აღრიცხვის ფორმა. მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციისათვის მიმართა თერთმეტმა სამართალ სუბიექტმა, განხორციელდა 52 სფს-ს ექსპერტიზა-უტილიზაცია.

## 2011 წლიდან მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაცია გახდა ელექტრონული

მკაცრი აღრიცხვის ფორმების ელექტრონული რეგისტრაციის უმთავრესი მიზანი სამართალსუბიექტებისთვის პროცედურის გამარტივება, მათი მხრიდან დროის შეღავათიანად გამოყენება და რაც მთავარია შენობიდან გაუსვლელად სასურველი შედეგის მიღებაა.



## წამახალისებელი გათამაშება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ შეამოწმა წამახალისებელი გათამაშების მოწყობის მსურველი 18 პირის მიერ წარდგენილი თამაშობის ზოგადი წესი და დაადგინა მათი შესაბამისობა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ კრიტერიუმებთან.

## Eauction.ge განვითარება 2011 წელს

ინტერნეტ აუქციონზე დარეგისტრირებულია 17 000–ზე მეტი მომხმარებელი:

### ინტერნეტ აუქციონი



15 556 რეზიდენტი ფიზიკური პირი



705 რეზიდენტი იურიდიული პირი



934 არარეზიდენტი ფიზიკური პირი



55 არარეზიდენტი იურიდიული პირი

2011 წლის თებერვლიდან სახელმწიფო სტრუქტურები, კერძო და ფიზიკური პირები, უძრავ და მოძრავ ქონებას eAuction.ge-ს მეშვეობით ყიდიან. eAuction.ge -ს პარტნიორი გახდა **390** იურიდიული და **90** ფიზიკური პირი

**Eauction.ge სტატისტიკა**




**დღეში საშუალოდ 8000 ვიზიტორი**

# Eauction.ge განვითარება 2011 წელს

## eAuction.ge ვიზიტორთა რუკა



| | Country/Territory | Visits | Pages/Visit |
|---|---|---|---|
| 1. | Georgia | 1,774,387 | 15.04 |
| 2. | Russia | 16,964 | 12.24 |
| 3. | (not set) | 16,856 | 11.21 |
| 4. | United States | 8,535 | 11.58 |
| 5. | Greece | 7,995 | 12.29 |
| 6. | Germany | 7,874 | 15.46 |
| 7. | Jordan | 4,711 | 14.05 |
| 8. | United Kingdom | 2,966 | 11.29 |
| 9. | Spain | 2,790 | 10.63 |
| 10. | Italy | 2,477 | 11.58 |
| 11. | Ukraine | 2,439 | 11.28 |
| 12. | Israel | 1,805 | 9.95 |
| 13. | Turkey | 1,756 | 13.10 |
| 14. | France | 1,371 | 10.99 |
| 15. | Azerbaijan | 1,183 | 10.21 |
| 16. | Cyprus | 1,147 | 13.19 |
| 17. | Armenia | 881 | 11.06 |
| 18. | Netherlands | 796 | 12.76 |
| 19. | Kazakhstan | 607 | 9.09 |
| 20. | Ireland | 603 | 10.09 |
| 21. | Belgium | 479 | 13.35 |
| 22. | United Arab Emirates | 399 | 12.9[illegible] |

Eauction.ge-ზე ვიზიტორთა რაოდენობამ 2011 წელს 1 802 000 გადააჭარბა

## Eauction.ge განვითარება 2011 წელს




ნებისმიერ მსურველს საბანკო პლასტიკური ბარათის შეკვეთის შესაძლებლობა მიეცა საიტიდან

ვებ გვერდიდან შესაძლებელი გახდა ლიბერთი ბანკის განვადების მიღება




საგარანტიო თანხის გადახდა ხდება მხოლოდ საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით




შესაძლებელი გახდა ელექტრონული საბანკო გარანტიის გააქტიურება




ინტერნეტ აუქციონის პოპულარიზაცია სოციალურ ქსელებში



შემოსავლების სამსახურის ბიზნეს რუკის ინტეგრაცია ელექტრონული აუქციონების სისტემასთან. ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის ირგვლივ არსებული ბიზნეს გარემოს შესახებ

# მომსახურების სააგენტო 2012 წლიდან გეგმავს არსებული ელექტრონული სერვისების მოდერნიზაცია/განვითარებას

## •სააგენტოს ვებ-გვერდის www.seragency.gov.ge მოდერნიზაცია

მოდერნიზებული ვებ გვერდი მაქსიმალურად იქნება გათვლილი ელექტრონულ მომსახურებაზე – მოხმარებისა და ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობასა და სიმარტივეზე.

## • ელექტრონული აუქციონის სისტემის პოპულარიზაცია

2012 წლიდან კვლავ აქტიურად განახლდება ინტერნეტ აუქციონის პოპულარიზაცია. პრიორიტეტი - რეგიონებში ცნობადობის გაზრდა.



## • Eauction.ge - ს განვითარება, ფუნქციონალის დახვეწა და მომხმარებლებზე მაქსიმალური მორგება

2012 წლიდან სისტემაში გაეშვება WAP ვერსია, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები შეძლებენ მობილური ტელეფონის მეშვეობით ვაჭრობას. ასევე იგეგმება ალტერნატიული გადახდის მექანიზმების დამატება.

## • დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ელექტრონული აუქციონით განკარგვის პროცესის გამარტივება



დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის შემთხვევაში, დგება ხელშეკრულება სააგენტოსა და აღნიშნულ პირებს შორის. ამ მომსახურების გამარტივების მიზნით, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის აღარ იყოს სავალდებულო სააგენტოში მისვლა და შესაბამისი შეთანხმება მიღწეულ იქნას ელექტრონული გზით მათ შორის, მომსახურების ღირებულების გადახდაც განხორციელდება ელექტრონულად.

# 2012 წლის სამოქმედო გეგმა

## •ერთიანი საქმისწარმოების პროგრამისათვის (ERP) ფუნქციონალის დამატება



რადგან სააგენტოს მომავალი წლისათვის დაგეგმილი აქვს ახალი პროექტი (სახელმწიფო ორგანოების/საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში გადაცემული ან/და ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების განკარგვა), განსახორციელებლად ERP-ს (ერთიანი საქმისწარმოების პროგრამას) დავუმატოთ ახალი ფუნქციონალი, რომელიც სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობას კიდევ უფრო მოქნილს, სრულყოფილს და გამჭვირვალეს გახდის.




## •მკაცრი აღრიცხვის ფორმების ელექტრონული რეგისტრაცია

2012 წელს იგეგმება აღნიშნული მომსახურების გაუმჯობესება, ვებ–გვერდის, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ატვირთვა/გაგზავნა, ფუნქციონალის გამარტივება.

## • სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვა ლიზინგის ფორმით




იგეგმება ლიზინგის ფართომასშტაბიანი პოპულარიზაცია მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის, სააგენტო მათ სთავაზობს ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს - ლიზინგს.



- **სახელმწიფო ორგანოების/საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში  გადაცემული ან/და ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების განკარგვა**

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, სააგენტო განახორციელებს სახელმწიფო ორგანოების/საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში გადაცემული ან/და ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების განკარგვას (პრივატიზება, უსასყიდლოდ გადაცემა, განადგურება).
სახელმწიფო ორგანოების/საჯარო სამართლის იურიდიული პირების  მიერ, სარგებლობაში გადაცემული ან/და ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სააგენტო ჩაიბარებს აღნიშნულ ქონებას და განათავსებს ერთიან სასაწყობო ბაზაში განკარგვის მიზნით

## მომსახურების სააგენტოს სერვისი იუსტიციის სახლებში

მომსახურების სააგენტოს დღეისათვის მომხმარებელთა მხარდაჭერისათვის გახსნილი აქვს მომსახურების ცენტრები (თბილისში 2, სამტრედიაში და ახალციხეში), მოთხოვნის შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეგიონული ცენტრების გაფართოება, ამისათვის საუკეთესო შესაძლებლობაა იუსტიციის სახლებში სააგენტოს კონსულტანტების წარმოდგენა.




მომსახურების სააგენტოს სერვისი იუსტიციის სახლებში